

დირექტორთა და პარტნიორთა პასუხისმგებლობის გამიჯვნა კაპიტალური  
ტიპის საზოგადოების საგადასახადო ვალდებულებების დროს.

ქეთევან ასკილაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
სკოლაში კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე,

სამართლის დოქტორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნაშრომი შეიცავს ჩემს მიერ „აკადემიური წერის“ კურსის ფარგლებში შესრულებული ნაშრომიდან „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებისა და დირექტორის პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის“ აღებულ მონაკვეთებს, გადამუშავებული და ციტირებული სახით.

**ქეთევან ასკილაშვილი**

**05.07.2021**

## აბსტრაქტი.

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში ხელმძღვანელი პირების პირადი პასუხისმგებლობის საკითხს, ყურადღება გამახვილებულია საგადასახადო ვალდებულებებისათვის საზოგადოების დირექტორის და პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის საკითხზე, ნაშრომში განხილულია როგორც ქართული კანონმდებლობა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, ასევე შედარებით-სამართლებრივი ანალიზისათვის გამოყენებულია ამერიკული და გერმანული სასამართლო პრაქტიკა და საკანონმდებლო მასალა. გამოყენებულ იქნა შედარებითი სამართლებრივი კვლევა, რომლის მეშვეობითაც მოხდა საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ბაზის და საქართველოს უზენაესი სასამართლო პრაქტიკის შედარება. ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული არაერთგვაროვანი შეხედულებებით საგადასახადო ვალდებულებისათვის დირექტორის და პარტნიორის პასუხისმგებლობის გამიჯვნასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ნაშრომში ჩამოყალიბებულია კაპიტალური ტიპის საზოგადოებისათვის მახასიათებელი ნიშნები და მათ საფუძველზე გამიჯნულია დირექტორებისა და პარტნიორების პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** დირექტორი, პარტნიორი, პასუხისმგებლობა, საგადასახადო ვალდებულება.

## **Abstract**

This work is devoted to the issue of personal liability of management in a capital type society, focuses on the personal liability of the director and partner for tax liabilities, discusses both Georgian law and the case law of the Supreme Court of Georgia, and uses American and German case law for comparative legal analysis. A comparative legal study was used to compare the current legal framework of Georgia and the Supreme Court practice of Georgia. The urgency of the paper is due to the heterogeneous views prevalent in the legal literature regarding the separation of liability of the director and the partner for tax liability. Accordingly, the paper sets out the characteristics of a capital-type company and, on the basis of them, distinguishes the legal basis for the liability of directors and partners for the company's tax liabilities.

**Key Words:** Director, Partner, Liability, Tax Liability.